ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 18

ქ. სამტრედია 3 ნოემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ფაილაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ლაშა" წარმოდგენლი მისი დირექტორის ანზორ ჩაჩუას სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

სსიპ ქალაქ სამტრედიის #1 საჯარო სკოლის შენობის დაზიანებული კარებების დემონტაჟი და ახალი კარებების მოწყობა (CPV კოდი: 45400000) (შემდგომში – სამუშაო) ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3605 (სამიათასექვსასხუთი) ლარი.

2.2 #სსიპ ქალაქ სამტრედიის #1 საჯარო სკოლის შენობის დაზიანებული კარებების დემონტაჟი და ახალი კარებების მოწყობა (CPV კოდი: 45400000) -3605 ლარი , ხარჯთაღრიცხვისა და დეფექტური აქტის თანახმად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე წინასწარ.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხათუნა ფაილაძე

4.2. სამუშაო შესრულებულად ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. სამუშაოს შესრულების ადგილია: .სამტრედია

5.2. სამუშოს შესრულება განხორციელდება 2014 3 ნოემბრიდან 2014 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. დამკვეთი ვალდებულია უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. შემსრულებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურეობა იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.
6.5 შემსრულებელი ვალდებულია მისი ხარჯებით უზრუნველყოს დამკვეთის მიერ გამოვლენილი შესრულებული სამუშაოს ხარვეზის აღმოფხვრა.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.
7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2014 წლის 3 ნოემბრიდან და მოქმედებს 2014 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ ქალაქ სამტრედიის №1 საჯარო სკოლა
მის: სამტრედია 9 აპრილის №79
საიდენტიფიკაციო კოდი 238762745
ბანკი სს „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: *ბ/კ LBRTGE22*
ა/ა GE06LB0121178155512000
ტელ: 577939924

დირექტორი ხათუნა ფაილაძე

მიმწოდებელი:

შპს „ლაშა"
მის: ქ. სამტრედია ბარათაშვილის 114
საიდენტიფიკაციო კოდი 238750222
ბანკი: სს „რეპუბლიკა ბანკი" სამტრედიის ფილიალ
ბანკის კოდი: *ბ/კ* REPLGE22
ა/ა: GE10BR0000000036080068

დირექტორი ანზორ ბაბუა